ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N
150

დ. ბედიანი „ 26 „ „ ივლისი“ , 2018 წელი

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** ს/კ 243123455 (შემდგომში -„შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ავთანდილ ვანაძის** დამეორეს მხრივ **შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემი''** (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ჯემალ წულაიას სახით,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით (პროგრამული დაფინანსება) 100 კილოგრამი ქლორის (ქლორიანი კირის CPV 24311900) შესყიდვა;

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **450,00 (ოთხასორმოცდაათი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და გადასახადების (დღგ და სხვა) ჩათვლით.

2,2. ერთი კილოგრამის ღირებულებაა 4,50 (ოთხი ლარი და 50 თეთრი)

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების გარდა) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით, მოწოდება მოხდება ერთიანად.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ჭირნახულის ჩიხი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 <u>მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (დღგ-ს გადამხდელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.</u>

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** -ს ბედიანის მომმარაგებელი აივენგო ხუციშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდების და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარულიდღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის

ბრალეულობასთან. გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით დ
საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისა
შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარე
წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნ
მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა დ
შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობ
გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს
მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელ
გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობ
შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმებ
რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველ
მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.
მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლ
წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზებ
მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯებ
ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარ
წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარ
იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან
ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ი
წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემი“
ს/კოდი: 243123455	ს/კოდი: 205050406
იურ. მის.: წალკის რაიონი, ბედიანი	მის: ქ.თბილისი ჭირნახულის ჩიხი.
ტელ.: +995 599136864;	იურიდ: ვაჟა ფშაველას 20
ელ.ფოსტა ps.hosp@gmail.com	ელ. ფოსტა geojemi@yahoo.com
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;	ს.ს. „pბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;	ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE02BG0000000267299600;	ა/ან GE27 PC01 8360 0100 0164 49
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ავთანდილ ვანაძე	ჯემალ წულაია

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა ბედიანი „ 26„ „ივლისი , 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, შპს **„აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“** გემნერტალური დირექტორი **ავთანდილ ვანაძე** და მომმარაგებელი **აივენგო ხუციშვილი** ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მიმწოდებელთან შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემთან“.

გენერალური დირექტორი:
ავთანდილ ვანაძე _____

მომმარაგებელი
აივენგო ხუციშვილი _____

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD 243123455